ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №229823

ნომერი: AR158845

თარიღი : 15.06.2012

გაცემის თარიღი : 23.06.2012

გაცნობის თარიღი : 25.06.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქუთაისი , N 20 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ჩიკვაიძე პ/ნ 01024016177
- თბილისი ა.ანტონოვსკაიას ქ. N 9 ბ. 53

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს: საკადასტრო საზღვრებში საზოგადოებრივი სივრცის მხარეს ჭიშკრის მოწყობა სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია თუმცა საჭიროა წარმოადგინოთ საკადასრო გეგმა, რომელზეც მონიშნული იქნება საპროექტო ჭიშკრის ადგილმდებარება (ვინაიდან სავარაუდოდ გეგმავთ აღნიშნული ჭიშკრის მიჯნის ზონაში მოწყობას, საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრის/მესაკუთრეთა ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა); რაც შეეხება სარეკონსტრუქციო ავტოფარეხს ის მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო გეგმაზე) არ ფიქსირდება; შესაბამისად "ინფორმაცია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან" ველში – საკადასტრო ერთეულის დამატებაში, საკადასტრო კოდში მიუთითეთ იმ მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი სადაც განთავსებულია სარეკონსტრუქციო ავტოფარეხი ან „ფაილის მიმაგრების“ ველში აიტვირთოს ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან. იმ შემთხვევაში თუ მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია აღნიშნული ავტოფარეხი დამოუკიდებელ საკადასტრო ერთეულად არის რეგისტრირებული, შეგიძლიათ გააკეთოთ დამოუკიდებელი ელ. განაცხადი. აქვე დამატებით განგიმარტავთ: ვინაიდან, განცხადების შევსებისას არ იქნა მოწოდებული საჯარო რეესტრის ინფორმაცია სარეკონსტრუქციო ავტოფარეხის შესახებ, გაურკვეველია სარეკონსტრუქციო ფართის (ავტოფარეხის) მესაკუთრის ვინაობა. გამომდინარე აქედან გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში).

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.